წელიწადი მე-2 ტელეფონი № 76. სამშაბათი 26 ივლისი

# სამშობლო

№ 414

**გაზეთის ფასი:** წლიურად 9 მან, ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ ცალკე ნუმერი ერთი შაური. **დამატებით 7 კ** წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხ დებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კაპ. გლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 4 მ. 2 საათს შემდეგ 5 მან.

**ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.**

ელექტრო „ამპირ“ თეატრი

25 ივლისიდან, ნაჩვენები იქნება:

**დარბაისელი ქურდი.**

საამდროვო დრამა 5 ნაწილად, ჰუსტავ, სერენ და ოლგა ბენეტის მონაწ.

**ჰოლანდიის მხატვრული კუთხეები**

სანახაობა.

**ყაჩაღებმა დაიშინეს.** სახუმარო.

**ანონსი:** ხუთშაბათიდან, 28 ივლისიდან

**გაშლილ ადგილზე** ოსტროვსკის კომედიის მიხედვით ქ-ნ ნილისენკოს, ორლოვის და ბ-ნ ბაკშეევის და პანოვის მონაწილეობით.

**ცნობილი სასიძო.** სახუმარო.

ელექტრო „რადიუმ“ თეატრი

ორშაბათიდან, 25 ივლისიდან ახალი პროგრამა

**კუნძული იავა და მისი ქალაქები.**

სანახაობა.

**და ხმალი მისი მზეზე ბრჭყვინავდა** დრამა ოთხ ნაწ. კარბანოვის და რიმსკის მონაწილეობით.

**ერთი სანაძლეოს შედეგი.** სახუმარო.

**ანონსი:** ხუთშაბათიდან, 28 ივლისიდან

**უკუ მიმაგდო, გასთელა ვარდი**

ძლიერი დრამა 3 ნაწილად საუკეთესო მსახიობთა მონაწილეობით.

**ქრონიკა გომონი.** მიმდინარე ამბები.

**უბინაო კაცი.** ორ აზროვანი ფარსი, 2 ნაწილად. საბუროვის თეატრის მსახიობთა ქ-ნ დუნაევის და ბ-ნ ვერნერის მონაწილეობით.

**იძლევა იჯარით** ჩემ მიერ იჯარით აღებული

სადორიის აგარაკზე **სახნავი მიწა** ორასი კვად. საჟენი, აქვე გაშენებულია ასი ძირი კარგი ჯიშის ნაყოფიერი ვენახი. ეზო მაღალი ღობითაა შემოკავებული.

**პირობების გაგება შეიძლება პ. ფერაძის სტამბაში,**

**ექიმი ა. მ. ასათიანი.** რადგანაც სამსახურის გამო ესენტუკში გაიწვიეს მინერალურ წყლების ჯგუფის ექიმად მან ავათყოფების მიღება 1 აგვისტომდის შესწყვიტა.

**ექიმი ი. ჩარექიშვილი** ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. **დაბრუნდა და განაახლა** ავათმყოფების მიღება დილით $12^1/_2$—2 საათ. საღ. 6—8 საათ. მიიღებს მხოლოდ კანისა და ვენერიულ ავათმყოფებს.

მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. თ.

**დოქტორი მედიცინისა**

პრივატდოცენტი

**ვ. პ. მოსეშვილი**

მიიღებს შინაგანი და ნერვების ავადმყოფობით სნეულებს დილის 8 ს. ნაშუადღევის 2 საათამდი და საღამოს 6 ს.—8საათ.

2 გოსპიტლის ქუჩა № 6 თ.

ბრიუსელის საკომერციო ინსტიტუტის სტუდენტი

**აძლევს გაკვეთილებს**

**ფრანგულ ენისას.**

იკითხეთ „სამშობლოს“ რედაქციაში.

**ექიმი** გაბრიელ იოსების ძე **გოკიელი** დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. ელექტრინისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ.

6-9 ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. თ.

**გამოცდილი მასწავლებელი**

სტუდენტი ამზადებს მოწაფეთ ყველა სასწავლებლისთვის ხელმისაწდომ ფასებში.

მისამართი: გაზ. „სამშობლოს“ რედაქც.

**ვიყვან მოწაფეებს** ყველა კლასებისათვის მოსამზადებლად და განსაკუთრებით აფიცრების შკოლებისათვის ხელმისაწდომ ფასებში.

ნახვა დილის 8—საღამოს 6 ს-მდე. აზორინის ქუჩა, სახლი დემიდოვის, სტუდენტი

244 ა. ზ. თელაია. თვ.

**დ. ლაილაში.**

**კბილის ექიმი**

**ანნა პარმენის ასული ებანოიძე**

25 ივნისიდან მიიღებს ავადმყოფებს

**ბებია მ. მ. კოხრეიძე** უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს.

ალექსანდრეს ქუჩა, სა. თედორაძის

**იყიდება.**

**დაბა ხონში იყიდება სამოსახლო ადგილი**

სივრცით დაახლოვებით 1500 საჟენი. სემინარიის გვერდით. პირობების გაგება შეიძლება ქ. ქუთაისში, თბილისის ქუჩა, ნიჟარაძის სახლი, № 46.

256

სასწავლებლის დახურვის გამო

**იყიდება**

სასკოლო სკამები (პარტები), სკოლისსხვადასხვა მოწყობილებანი და

**საწერი მანქანა**

მსურველს ნახვა და პირობების გაგება შეუძლია თბილისის ქუჩაზე, გიორგი გურგენიძის სახლში.

## მსოფლიო ომი.

### დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგ.)

**უმაღლესი მთავარ სარდლის შტაბისაგან.**

**დასავლეთის ასპარეზი**

**პეტროგრადი.** 23 ივლისი. ბროდის სამხრეთით, მდ. სერეტზე მედგარი ბრძოლები გრძელდება. პენიაკი-ჩისტოპადთან მდინარის დასავლეთ ნაპირზე გადასულ ჩვენ ჯარზე მტერმა რამდენიმე კონტრ-იერიში მოიტანა. ყველა კონტიერიშები მოგერებულ იქნა დ ჩვენი ჯარი დაპყრობილ ადგილზე დამკვიდრდა. კუტის სამხრეთ დასავლეთით მდ. თეთრ ჩერემოშზე მტრის ერთმა დივიზიამ შემოუტია ჩვენ რაზმებს და რამდენადმე უკან დასწია.

**პეტროგრადი.** 23 ივლისი. ბროდის სამხრეთით, მდინ. გრაბერკთან და სერეტთან ბრძოლა თან და თან ცხოველდება ჩვენმა ჯარმა ფეხი მოიკიდა მარჯვენა ნაპირზე და ხელთ იგდო ორ სოფელ შუა მდებარე სოფ. დესაკის ნაწილი. აქ მეტად მკაცრი შეტაკება მოხდა, მტერი ძლიერ წინააღმდეგობას გვიწევდა. ცხრა კონტრ-იერიშს, რომელსაც გერმანელები აწარმოებდენ, ნაყოფი არ მოუტანია; მტერს კი დიდი ზიანი მივაყენეთ. დატყვევებულთ რაოდენობა 1200 კაცს უდრის. ტყვეთა რიცხვი თან და თან იზრდება.

**კავკასიის ასპარეზი.**

კიონკიაზ-ჩივთიკის მიდამოების დასავლეთით ჩვენმა ჯარმა რამდენიმე ვერსით წინ წაიწია. ოსმალთა იერიში ყიგის ჩიდამოებში ჩვენ მოვიგერიეთ.

**ლონდონი** 22 ივლისი. ბრიტანიის მთავარ სადგომის ცნობა საფრანგეთიდან. ბეზანტეპლეპტის ჩრდილოეთით ინგლისელებმა ხელის ყუმბარებით იერიში მიიტანეს გერმანელებზე და წინ წაიწიეს.

დელვილის ტყის მიმართულებით დღის განმავლობაში გერმანელებმა ოთხი ძლიერი რაზმი გაგზავნეს წინ; ინგლისელებმა ახლო მიუშვეს აუტეხეს სროლა და დიდი ზარალით უკან დაიხიეს. ერთ ალაგას გერმანელთა რაზმი 50 კაცისგან შემდგარი ტყვიისმფრქვეველების ცეცხლს მოჰყვა.

ინგლისელთა არტილერიამ დაუშინა პოზიერსა და ტიენვალის შუა მდებარე გერმანელთა ზურგის გასამაგრებელ პოზიციებს; იქ მყოფი ჯარის კაცები გაშლილ ველით გაიქცნენ უკან. ინგლისელთა საველე ზარბაზნებმა მათ სროლა აუტეხეს. ასპარეზის ზოგიერთ ნაწილში დაჟინებული საარტილერიო ბრძოლები მოხდა. ინგლისელებმა ჩამოაგდეს ორი ჰაეროპლანი. ერთ მათ ხაზზე ჩამოვარდა მეორე დააზიანეს.

**კავკასიის ასპარეზი.**

არავითარი ცვლილება არ მომხდარა.

**პარიზი.** 24 ივლისი. მაასის მარჯვენა

ტიომონის მიდამოებში ფრანგები ამაგრებენ ახლად დაპყრობილ ადგილებს. არტილერიის ძლიერი სროლის შემდეგ გერმანელებმა ორი ძლიერი იერიში მიიტანეს შაპიტრის ტყეში გერმანელთა იერიში ფრანგებმა შეაჩერეს და დაკავებული ადგილები უკანვე დაიბრუნეს მკაცრი კონტრ-იერიშით. ასპარეზის სხვა ნაწილებში ჩვეულებრივი საარტილერიო ბრძოლაა. პოდპრაპ ლენუარმა მორავილთან ძირს ჩამოაგდო გერმანელთა ჰაეროპლანი. ლენუარმა ეს უკვე გერმანელთა მე 6 სე ჰაეროპლანი ჩამოაგდო.

**ჰავრი.** 23 ივლისი ბელგიელები ყუმბარებს ესროდენ გერმანელებს დიმონის რაიონში.

**ლონდონი.** 23 ივლისი. ბრიტანიის მთავარ სადგომის ცნობა. უკანასკნელ ბრძოლაში ინგლისელებმა წინ წაიწიეს სახელდობრ პოზიერის დასავლეთით.

ბაზატოპლეტის მიდამოებში დადელვილის ტყის მახლობლად პატარა შეტაკების დროს ინგლისელთ რამდენიმე ტყვე ჩაუვარდათ ხელში. მთელი ღამის განმავლობაში არტილერიის მკაცრი სროლა იყო ინგლისელთა ბრძოლის პირზე, სხვა და სხვა ადგილას.

**პეტროგრადი.** 23 ივლისი. სტამბოლიდან იტყობინებიან, რომ ინგლისელთა წყალ-ქვეშა ნავი შეჰრილა სრუტეში ყუმბარები დაუშენია ქ. პენდიკისთვის, რომელიც სტამბოლის წინა ნაწილია და დიდი ზიანი მიუყენებია.

**დასავლეთის ასპარეზი.**

**პეტროგრადი.** 24 ივლისი. მდ. ვარაშერკაზე და სერეტზე ჩვენ მიერ ახლად დაპყრობილ ადგილ მიდამოებს გერმანელები მძლავრად უშენენ ზარბაზნებს. დამატებითი ცნობების მიხედვით 22-სადა 23 ივლისს ჩვენ დაგვიტყვევებია 140 აფიცერი და 5300 ჯარისკაცი. ამას გარდა დავლათ დაგვრჩა ტყვიის მფრქვევლები.

**კავკასიის ასპარეზი.**

ბრძოლა გრძელდება.

**ინგლისი.** 23 ივლისი. ოფიციალი ცნობა ეგვიპტეს მთავარსარდლისა გადმოგვცემს, რომ დილით 21 ივლისს მტერი ორი ჰაეროპლანის ტიმვაბუდის ტბის მახლობლად მდგომ ქალ. იზმაილის თავს დაესხა, ყუმბარები ჩამოჰყარა მაგრამ ზიანი დიდი არ არის. მტრის ერთი ჰაეროპლანი ჩამოაგდეს ძირს ნალმარიის მახლობლად.

**პარიზი.** 23 ივლისი. მაასის მარჯვენა ნაპირას ფრანგები გერმანელთა სანგრებს ყუმბარებს უშენდენ. ზრენენთან და ალმოსავლეთ პერონთან მაასის ნაპირას მთელი დღე ბრძოლა გრძელდებოდა. გერმანელები შეეცადნენ ფრანგების სანგრე

მაგიეროდ გერმანელებმა დიდი ზარალი ნახეს, და 12 საათის ბრძოლის შემდეგ ფრანგებმა აიღეს ტიომონის სიმაგრე. მიუხედავათ გერმანელთა კონტრიერიშებისა ტიომონი მაინც ფრანგებმა შეინარჩუნეს. ფლერის მიდამოებში ბრძოლა გრძელდება. აქ ფრანგებმა 400 მეტი ტყვე იგდეს ხელთ. ვერდენის მიდამოებში ფრანგები ყუმბარებს უშენენ გერმანელების სანგრებს.

**ჰავრი.** 22 ივლისი. დიკსმიუდესთან საარტილერიო ბრძოლა გრძელდება. სხვაგან ჩვეულებრივი უმნიშვნელო შეტევანი ხდება.

**პარიზი.** 24 ივლისი. სომის სამხრეთ ნაწილში ფრანგების ჯარმა ესტრესა და მდ. ენთან წინ წაიწიეს. გერმანელები შეეცადენ იერიშების დაწყებას ვოკლერთან მაგრამ მიზანს ვერ მიაღწიეს. მაასის მარჯვენა ნაპირზე ფრანგებმა გერმანელთა კონტრიერიშები მოიგერიეს.

კომბელის მიდამოებში ფრანგებმა 84 ყუმბარა ჩამოჰყარეს მნემონტთან კი 30. სად. სედანთან 45. აგრეთვე ყუმბარები ჩამოჰყარეს სად. კონფლან-რემბაკთან და მეტცთან. სომის ასპარეზზე ფრანგების მფრინავებმა ააფეთქეს ორი გერმანელების საჰაერო ბუშტი. ბაკარასთან გერმანელებმა სამი ყუმბარა ჩამოაგდეს. ზარალი უმნიშვნელოა.

**პარიზი.** 23 ივნისი. შუადღის ოფიცაალი. სომის მახლობლად მთელი ღამე სიწყნარე იყო. ავრერთან ფრანგებმა უკუაქციეს გერმანელთა პატრულები და დაატყვევეს რამდენიმე კაცი. მაასის მარჯვენა ნაპირას მკაცრი ბრძოლაა. ტიომონფლერის მიდამოებში გერმანელები სცდილობდნენ ფრანგების განდევნას გამაგრებულ სანგრებიდან, მაგრამ ამაოდ. მასის მარჯვენა ნაპირას სხვა ადგილებში ჩვეულებრივი საარტილერიო ბრძოლა სწარმოებს. პონტამუსონის სამხრეთით გერმანელები უშედეგოთ იერიშებს აწარმოებდნენ საკის ტყის მახლობლად. ფრანგების სამხედრო მფრინავები 17 ბრძოლაში იღებდნენ მონაწილეობას. დააზიანეს გერმანელების ორი აპარატი, ერთი დაეცა ავოკურის მახლობლად და მეორეც მორანვილთან.

**რომი.** 23 ივლისი ადიჯეზე ავსტრიელებმა ძლიერი საარტილერიო ცეცხლი გააჩაღეს იტალიელთ სანგრების წინააღმდეგ მდ. კამერთან. პოზინის ხაზზე ავსტრიელებმა იერიში მიიტანეს სახელდობრ გრაზოს აღმოსავლეთით, მაგრამ ამაოდ. მონტე-სელუწიო მონტეჩილოსთან 21 ივლისს მთელი ღამე ძლიერი საარტილერიო სროლა იყო. კმრანველიონის ველზე ავსტრიელები ცდილობდნენ უცაბედ თავ-დასხმას, მაგრამ იერიში მოგერიებულ იქმნა. იტალიელებმა ხელთ იგდეს დრავის მიდამოების რამოდენიმე ადგილები. იტილიელებმა ყუმბარები დაუშინეს რკინიგზის სადგურ-ტობლახს მდ. ლაგონთან. ჩომვალენთან დაკავებული ადგილ ები იტალიელებმა უფრო გააფართოვეს.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

გერმანელებს ვარშავის სამოქალაქო თვითმართველობა ერთიანად სამხედრო დიქტატურისთვის დაუქვემდებარებიათ და თვითმართველობის მოქმედება ფრიად შეუზღუდავთ.

— —

გერმანიის ელჩს განუცხადებია რუმინიაში, გამოუცხადებს თუ არა რუმინია ომს ავსტრიას, გერმანელები, ავსტრიელები, ბულგარელები და ოსმალნი სამი მხრით დაესხმიან რუმინიას და შემუსრავენ მასათ.

— —

გერმანელთა გავლენა საბერძნეთში უკანასკნელ ხანებში კვლავ გაძლიერებულა. გერმანიის ელჩს ბარონ შენკს გერმანიიდან 10 მილიონი მარკა მიუღია საბერძნეთში გერმანიის გავლენის გასაძლიერებლად.

# ომის დღიური.

**აღმოსავლეთის ასპარეზი.** მდ. სერეტზე და გრაშარკზე მკაცრი ბრძოლები კვლავ გრძელდება. ბრძოლები ბროდის სამხრეთით რუსების სასარგებლოდ ვითარდება. სერეტის მარჯვენა ნაპირზე რუსებმა ფეხი მოიკიდეს და გამაგრდნენ. მედგარი ბრძოლა გაჩაღდა სოფ. ლეხავში, გერმანელები ძალუმად მოიწევდნენ, მაგრამ რუსებმა სძლიეს. გერმანელთა 9 იერიში მოიგერიეს და 1200-ზე მეტი კაცი დაატყვევეს. დაბა კუტ-ტის სამხრეთ-დასავლეთით ავსტრიელებმა რუსებს ოდნავ დაახევინეს.

**კავკასიის ასპარეზი.** კილკიზ ჩეთიკის დასავლეთით რუსებმა რამდენიმე ვერსით წინ წაიწიეს. ყიგის მიდამოებში ოსმალთა იერიში რუსებმა მოიგერიეს.

**დასავლეთის ასპარეზი.** ბეზანტელეპტის ჩრდილოეთით ინგლისელებმა ხელის ყუმბარების შემწეობით გერმანელებზე იერიში მიიტანეს. დევილის ტყის მიმართულებით გერმანელთა ოთხი ძლიერი რაზმის იერიში მოიგერიეს. ინგლისელებმა გერმანელები მძიმედ დააზარალეს.

მაასის მარჯვენა ნაპირზე ფრანგები ტიომონ-ფლერის გზის დასავლეთით გამაგრებულან. ვო-შაპიტრის ტყეში არტილერიის ხანგრძლივი და ძლიერი სროლის შემდეგ გერმანელებმა ორჯერ ძალუმად მიიტანეს იერიში, ფრანგებმა იერიში მოიგერიეს. ფრანგებს ტიომონი აუღიათ და გამაგრებულან. ბულგარელთა ბრძოლის ხაზზე მდგომარეობა უცვლელია.

**იტალიის ასპარეზი.** მდ. დრავის ველზე იტალიელებმა ცოტათი წინ წაიწიეს. პოზონის ხაზზე ავსტრიელებმა იერიში მიიტანეს, მაგრამ იტალიელებმა მოიგერიეს.

---

ბერძნები რუმინიას უხსნიან, მოკავშირეთა ჯარი მაკედონიაში უძლურია, ბულგარეთი მათ წინააღმდეგ მცირე ჯარს დასტოვებს და მთელი თვისი ძალღონით რუმინეთს ეკვეთებაო.

— —

მაკედონიის ასპარეზზე მოწინავე რაზმების ბრძოლა დაწყებულა. მოკავშირეებს იერიში მიუტანიათ მაგრამ ბულგარელებს პოზიციები შეუნარჩუნებიათ.

— —

მოკავშირეთა მომხრეები რუმინიაში მთავრობას რევოლუციით ემუქრებიან, თუ იგი ომს არ გამოუცხადებს ავსტრიას.

— —

მოკავშირე სახელმწიფოთა გავლენა რუმინიაში ბოლო დროს გაზრდილა.

— —

ერთი ბულგარული გაზეთი სწერს, რუმინია ვერაფერს ვერ გააწყობს იმიტომ, რომ ჩვენ წინდაწინვე მივიღეთ ზომები და რუმინიის გამოსვლა უნაყოფო იქნებაო

— —

„ტაიმ“-სის ცნობით ვილჰელმი ისპანიის არისტოკრატებს მუქარას უთვლის, რადგანაც ისინი ბელგიელებს თანაგრძნობით ეკიდებიან.

— —

ოსმალებმა ბულგარეთის საზღვრით მაშველი-ჯარი გაუგზავნეს ავსტრიელებს რომლის რიცხვიც მეტის მეტად დიდი ყოფილა.

---

# სამხედრო მიმოხილვა.

რუსებმა აღმოსავლეთის ასპარეზი ორ ალაგას გაარღვიეს შეტევის დაწყებისთანავე და მას აქეთ მთავარი მათი ყურადღება ამ ორ მიმართულებისკენ იყო მიქცეული.

მხოლოდ ორ მიმართულებათაგან მნიშვნელოვანია უფრო რაფალოვკა-ჩარტორიისკ-როვნო-კრემენეცის ხაზის გარღვევა. გამოაშკარავდა, რომ გადამწყვეტი სიტყვის თქმა რუსებს ასპარეზის ამ ნაწილში სურვებია.

რაც შეეხება მეორე მიმართულებას, ტრემბოვლია-რუმინიის საზღვრის ხაზის გარღვევას, უკანასკნელი მხოლოდ დამხმარე ოპერაციად უნდა ჩაითვალოს.

რუსების გეგმა იყო, ერთის მხრით გერმანელთა და ავსტრიელთა ჯარის შუაზე გაყოფა და მეორეს მხრით, ბუკოვინის შეტევის შემწეობით გალიციის ხელში ჩაგდება.

ორივე მიზნისთვის საჭირო იყო შორს შეჭრა ასპარეზის შუა ნაწილში ლუცკ-კოველის და ლუცკ ვლადიმირის მიმართულებით.

რუსებმა შესძლეს ეს, ღრმად შეიჭრნენ გერმანელ-ავსტრიელთა ჯარის შუა გულ'ში და ფეხი მოიკიდეს.

თავის თავად, რასაკვირველია, შეჭრა მტრის მიწა წყალზე ხელსაყრელია, მაგრამ საერთოდ ბრძოლის ხაზის გარღვევას უპირატესობასთან ერთად თავის სუსტი მხარეებიცა აქვს; თუ ერთის მხრით ესა თუ ის მხარე მოწინააღმდეგის ჯარს შემოუვლის ამ შემთხვევაში ადვილი შესაძლებელია თვითვე შეჭრილი მხარე იქნეს შემოვლილი.

სწორედ უკანასკნელი მდგომარეობის შექმნა სწადიათ გერმანელებს სტოხოდზე. ამ მდინარის გაყოლება სოფ. ლიუბაშევის და გულევიჩის მიდამოებში განუწყვეტელი იერიშები მოაქვთ მათ. ჯერჯერობით რუსები მარჯვედ იგერიებენ და მხოლოდ ერთი სოფელი დასცალეს მოწინააღმდეგის იერიშების წყალობით და ესეც ტაქტიკურის მოსაზრებით. ასე რომ ახლო მომავალში ამ მიმართულებით მოსალოდნელია ახალი ძალუმი შეტევა რუსებისა.

შვერელი.

---

# ვის მივენდოთ

**ქუთაისის საკომერციო სასწავლებელი?**

(კერძო აზრი.)

საბოლოოდ გამოირკვა, რომ ქუთაისის საკომერციო სასწავლებლის გამგე-დირექტორი, დიდად პატივცემული ბ-ნი კოტილევსკი თავის თანამდებობას თავს ანებებს და სხვა ადგილზე გადადის. ალბად მართალი ყოფილა რუსული ანდაზა: „Рыба ищетъ гдѣ глубже, а человѣкъ—гдѣ лучше—ო,*).

სწორედ სამწუხაროა, რომ ბ-ნმა კოტილევსკიმ ისე უდროოდ მიატოვა ეს ერთად ერთი და ქართველებისთვის დიდად სასარგებლო, პრაქტიკული ცოდნისა და საქმიანობის გამავრცელებელი დაწესებულება.

მერე, როგორა გვჭირია ჩვენ—ქართველებს—ასეთი სკოლები, ვინაიდგან მთავრობის სასწავლებლები—გიმნაზია პროგიმნაზიები,—რომელთაც ასე გაგიჟებით ეტანება ქართველი საზოგადოება, უმეტესს შემთხვევაში გვაძლევენ ან მოხელეებს ან ისეთ დილეტანტებს, (ამა თუ იმ საგნის ზერელად მცოდნეთ) რომლებიც პრაქტიკული ცხოვრებისათვის ხშირად გამოუსადეგარნი არიან. ამას დამტკიცება არ უნდა, ჩვენც სიტყვას აღარ გავაგრძელებთ და პირდაპირ გამოვსთქვამთ ჩვენ კერძო აზრს, რომელიც არავისათვის, რასაკვირველია, სავალდებულო არ არის, მაგრამ შეიძლება, ბევრს საშუალება მისცეს თავისი აზრიც გაგვიზიაროს და, ამ გვარად, შეერთებულის აწონ-დაწონვით იქნება ვიპოვოთ ისეთი ღირსეული გამგე, რომელიც ამ სასწავლებელს ისე გაუფრთხილდება, როგორც თავის თვალის ჩინს და ნამდვილ მამობას გაუწევს მომავალ ჩვენს კომერსანტებს.

ვინც კი დაჰკვირვებია ჩვენი სკოლების ცხოვრებას საზოგადოდ, ის დაგვეთანხმება, რომ ჩვენებურ სკოლებსა და მათ გამგეებს,—რომელთა ცხრა მეათედი უცხოტომისანი არიან ხოლმე—ერთი უმთავრესი თვისება სჭირთ, სახელდობრ ის, რომ ნაკლებად აქცევენ ყურადღებას ბავშვთა მშობლიურ ნიადაგზე აღზრდას, გატაცებულნი არიან მკვდარის ფორმალიზმით და ყველაფერი ჩინოვნიკურად აქვთ მოწყობილი.

ჩინოვნიკობს თვით გამგე, ჩინოვნიკობენ თვით მასწავლებლებიც და ასე გასინჯეთ „ჩინოვნიკობენ“, თვით მოწაფეებიც კი!

რაკი ესა თუ ის მკვდარი ცირკულიარი სათანადოდ იქნება შესრულებული, პედაგოგთა კრებული ბედნიერად გრძნობს თავს. რაკი მოწაფე ვაივაგლახით მიუგებს „სამზე“—თავის თავი უკვე, საგნის მცოდნე ჰგონია.

მასწავლებლები სცდილობენ შეასრულონ პროგრამა, როგორც იქნება და რანაირადაც იქნება, მოწაფეები კიდევ იმის ცდაში არიან, რომ როგორმე „ყინულზე გააცურონ“ თავისი მასწავლებლები და სკოლაში იმ თავითვე მყარდება სიყალბის ერთგვარი ატმოსფერა, რომელიც შხამავს მოწაფეებს ზნეობრივად, აჩლუნგებს მათ გონებრივად და ყოვლად მოუმზადებელნი გამოდიან ცხოვრებაში.

ჩვენ არ ვანგარიშობთ ბუნებით უხვად დაჯილდოვებულ თითო ოროლა მოწაფეს ან მოწოდებით მასწავლებლად დაბადებულ მასწავლებელ აღმზრდელთ, რომლებიც მნათობნი არიან ხოლმე ამა თუ იმ სასწავლებლისა და თავისის ბრწყინვალებით ჰფარავენ საერთო სიგლახეს სკოლის რეჟიმისას.

ჩვენ ვგულისხმობთ ამა-თუ იმ სასწავლებლის საერთო მდგომარეობას, საერთო ზეგავლენას მოწაფეთა კამპაქტურ მასსაზე და ეს ზეგავლენა კი, თუ თქვენც დამეთანხმებით, მეტის მეტად მავნებელია.

არიან ჩვენში ისეთი სასწავლებელნი, რომელთა დასახელება, ჩვენა გვგონია საჭირო არ არის და რომელთა ცხოვრება მხოლოდ პირწმინდა ფორმალიზმსა, თვალთმაქციობას, და ენა ტანიაობაზეა [illegible] ბული.

გამგეს, მაგალითად, [illegible] ჰყავს რამდენიმე მასწავლებელი (ხშირად ყოვლად უნიჭო [illegible] ბუნებით ფაქიზი კაცი რად იკადრებს ასეთ როლს) ეს მასწავლებლები კიდევ ზოგიერთ მოწაფეს უსმენ თავზე ხელს, მათ შორის იბმება ერთგვარი „ტელეფონი“ რომლის საშუალებითაც ჭორი და მართალი დომხალივით ირევა გამგის ყურში და იწყება ერთგვარი მეძებრობა, ერთგვარი ქიშპი, ერთგვარი არა ბუნებრივი დამოკიდებულება აღმზდელ მასწავლებელთა და მოწაფეთა შორის, რომელი დამოკიდებულებაც ჯოჯოხეთადა ხდის მთელი სკოლის ცხოვრებას...

არავინ ირ იცის რა წრისა, მდგომარეობისა და ყოფა ქცევისაა ესა თუ ის მოწაფე, არავინ არ იცის რამდენად მომზადებული და სამართლიანია ესა თუ ის მასწავლებელი, არვინ არ იცის რა კეთდება კლასში, ან რასა სწავლობენ მოწაფეები.

„ფორმა“ კი შესრულებულია: უფროსს ცხრა ყალბი ყური და ცხრა ბრმა თვალი აქვს გამობმული (წვრილფეხა ენატანიების მეოხებით, რასაკვირველია) გაკვეთილები თავის დროზე იწყება და თავის დროზე თავდება, ანგარიშები სწორია და თავის დროზე ეგზავნება, ვისაც ჯერ არს, მოწაფეები პეჯითად დაიარებიან კლასში, თუმცა უკვე გულ აცრუებულნი არიან და გუნებაში ლანძღავენ სასწავლებელსაც, მასწავლებელთაც, წიგნებსაც და ყოველგვარ მეცნიერებასაც. .

გადის დრო. მშობლებს ჰგონიათ, რომ შვილმა მათმა უკვე ისწავლა წერა „აპელაციისა“, მაგრამ, მეოთხე-მეხუთე კლასის მოწაფეც კი თურმე МОЛОКО-ს ბოლოში მაგარ ინშანს უსვამს (ъ) და „Корова“ „მამრობითი გვარის“ სახელი არსებითი ჰგონია!

გადაჭარბებულად არ ჩამომართვათ!

თუ თქვენ, მკითხველო, ან მასწავლებელი ხართ და ან დასწრებიხართ მოწაფეთა გამოცდებს, დამეთანხმებით, რომ ასეთი მაგალითი ხშირია, რასაკვირველია ისეთი „ტიპის“ სკოლებში, რომლის შესახებაც მე მოგახსენებთ...

მოწაფეების დედმამას ცოტაოდენი შესმენა და მოქალაქეობრივი გამბედაობა რომ ჰქონდესთ, ოცდა ოთხ საათში უნდა მიჰკეტონ ასეთი სასწავლებელი, ან სულ ცოცხით დაიფრინონ ასეთი სასწავლებლების მასწავლებელ - უფროსები—მაგრამ ამას არავინ სჩადის,—პირ იქით თავქუდ მოგლეჯილები სდგანან ხოლმე უფროსის წინაშე და ეხვეწებიან ამა და იმ კლასის მესამე თუ მეოთხე განყოფილება გახსნ-

*) თევზი ეძებს დარანებს (ღრმა ადგილებს) ადამიანი კი—უკეთესს ცხოვრებასაო.

---

# სიმონის ოჯახი.

(სურათი სოფლის ცხოვრებიდან).

სოფ. მიტოვებულში სიმონას ოჯახი ერთ ბედნიერ და ღონიერ ოჯახათ ითვლებოდა და არც გასაკვირველია: ოჯახს წინ უძღოდენ ჭკვიანი, წინდახედული სიმონა და მისი ოთხი ვაჟი-ბესია, გიორგი, სისო და სოფრომა.

სასიამოვნო შესახედავი იყო როცა ეს ხუთი ვაჟკაცი დაადგებოდა სამუშევარს; ძმები, თითქოს ერთიმეორეს ეჯიბრებიანო, გათენებამდის ყანას ეწვეოდენ. მათ ლანჭაპურა ლაპარაკს, მათ ხმა-შეწყობილ სიმღერას მთელი დღის განმავლობაში გაიგონებდა კაცი. მათი ერთობა, მათი ძმობა და სიყვარული თითით საჩვენებელი იყო მთელ სოფელში.

— ვენაცვალე ჩემ ბიჭებს, ხშირად იტყოდა ხოლმე სიმონა, ერთმანეთი უყვართ, ერთიმეორეს უჯერიან, ჭკუით ეკიდებიან საქმეს და ოჯახსაც სიკეთე დაეტყოო.

მართლაც არა აკლდა რა სიმონას,—როგორც სოფელში ლაპარაკობდენ,—„სუქან ოჯახს“. ოთხი ქცევა ვენახი ყოველ წელიწადს ორმოც, ორმოდაათ საპალნე ღვინოს აძლევდა; ორმოცი ძარი სიმინდი მის ეზოში ყოველ შემოდგომაზე შემოჭრიალდებოდა. პურღვინით ღონიერი სიმონა კმაყოფილების მორევში ცურავდა სამი შვილი კარგა ხანია რაც დააქორწილა.

— მადლობა უფალს, ამბობდა კმაყოფილი სიმონა, რძლები კარგები შემხვდენ, ერთმანეთი უყვართ, ქმარშვილის პატივცემა ესმისთ, ოჯახის ფასი იციან, მტერს მოყვრისგან არჩევენ. კარგები არიან, კარგები! ოჯახს ხატვენ, ამაგრებენ თავისი კარგი ხასიათით, აი დაილოცოს მაგათი აღმზდელებიო.

მუშაობიდან დაბრუნებულ სიმონას სიხარულს საზღვარი არ ქონდა ხოლმე, როცა პატარა შვილიშვილები გარს შემოეხვეოდენ და ეალყრსებოდენ. რა სჯობდა სიმონას ბედნიერი ოჯახის შეხვედვას იმდროს, როცა ეს უკანასკნელი სუფრას შემოუსხდებოდა და თავისი ოფლით მონავარ პურ-ღვინოს შეექცეოდა. ოხ რა რა კარგი იყო მათი განიერი და წყნარი ლაპარაკი, მათი ოჯახისათვის ზრუნვა!...

— შვილო, ბესო, მამაშვილობას, ვენახის საქმე მოვათაოთ. ხომ იცი მარტო ლაპარაკი არ ვარგა. საქმე მაშინ არის კარგი, როცა დასრულდება, დაგვირგვინდება „ბევრი მიწა აღარ დაგვრჩენია გადასაბრუნებელი, ბარემ გადავაბრუნოთ, შვილო, ხომ იცი ჩემი სული არ დაისვენებს, სანამ ამ საქმეს არ დავასრულებთ.

— იმე რაღა თქმა უნდა, მამაჩემო, ჩემი სურვილიც ხომ ეს არის, თავაზიანათ მიუგო მამას ბესიამ.

— შენ კი, მამა გენაცვალოს, შვილო გიორგი, უნდა წახვიდე ხვალდილით ს—რში და ნამყენი მოიტანო. ჩვენ გუშინდელ გადაწყვეტილებას ნუ ვუღალატებთ, შვილო, უთუოდ უნდა ჩავყაროთ ათასიოდე ძირი „მგალობლიშვილის ვაზი“სა. ამ ვენახს ძლიერ აქებენ. მე კიდევაც გავურიგდი ამასწინათ ჩვენ მოყვარე კაცს წაიღე, შვილო, გროშები და მოიტანე გავაკეთოთ, შვილო გავაკეთოთ კარგი ვაზიადა მერე ჩვენვე გაგვახარებს.

— ანუსია! შენ, თუ ქალი ხარ, თადარიგი დაიჭირე, ცოტა ადრე ადექით და შეჭამანდები შეგვიმზადეთ; ხომ იცი ხვალ მუშა გვეყოლება.

— კი ბატონო, თქვენ ჯავრი ნუ გექნებათ, შეჭამანდები ჩემ კისერზე იყოს; თქვენ ოღონდ იმუშავეთ და რაც გინდათ ის მოგვთხოვეთ, გამოეხმაურა ბედნიერი ანუსია ქმარს.

— აბა, გენაცვალეთ, ყველანი დავტრიალდეთ ერთგულად და საქმე გაიჩარხება. ამ კვირაში, შვილებო, ვენახის საქმეს მოვმარჩინეთ. მერე დრო აღარ გვექნება სათოხარი მოგვისწრებს, წელს სახნავიც ბლომად გვაქვს, ღვინოების გადაღების დროც აღარ არის შორს, დიდხანს თხლეზე ღვინის გაჩერება არ ვარგა, გაგვიფუჭდება; ხომ იცით ჩვენი ავი და კარგი ღვინოა.

— დარდი ნუ გექნება, მამაჩემო, ღვთის მადლით ბევრი ვართ ყველაფერი გაკეთდება, ყველაფერს მოვერევით... უშენოთ ოთხი ვაჟკაცი ვართ, რა გაგვიძლებს, მიწას დავარვევთ, კლდეს ვეცემით და მჭადს და ღვინოს ბევრს მოვიყვანთ მტერს თვალებს დაუყენებთ! .. ამრიგად მიმართა მამას გიორგიმ.

— რას ამბობ, ბიჭო! ნუ თუ სიმონა ისე დაბერდა რომ ანგარიშში ჩასაგდებათ აღარ არის? არა, ბიჭებო, არა გენაცვალებით მოხუცი ვარ, მაგრამ თქვენი შემხედვარე ჯერ კიდევ ყმაწვილურ ძალასა ვგრძნობ... ჯერ კიდევ თქვენთან ვარ, შვილებო, ჯერ კიდევ მოვიქნევ ძველებურად თოხს და ბარს...

— ეჰ! არ გეწყინოს, მამაჩემო, ამ სიტყვებით შენი დამცირება კი არ მინდოდა შენ, მამაჩემო, დიდიხანია რაც შრომობ, ბევრი გაჭირვება გამოგიცდია და გადაგიტანია შენს დაღალულ სხეულს ეხლა დასვენება სჭირია აწი შენი შვილების პატრონს აღარაფერი გიშავს: ოთხი ვაჟკაცი შვილი გყავს, შვილიშვილებიც მალე მოიჩიტებიან და გვერდში ამოგვიდგებიან. სოფრომაც, ღვთის მადლით, მალე დაბრუნდება, სამი თვე უკლია კიდევ და სალდათობას მორჩება. ოთხივე როცა სახლში მოვდგებით, მაშინ გვიყურე რას ვიზამთ ჩვენსკენაა ღმერთი, მამაჩემო, ნუ გეშინია!.. შენ კი ეხლა დაისვენე. ყალიონით ხელში იარე ეზოგარემოში და როცა ხალისი გექნეს იმუშავე.

— არა შვილებო, რა შემაშინებს, იმედიანათ წარმოსთქვა სიმონამ. სადაა შიში!.. თქვენი პატრონი და შიში!.. ცოგორ შეიძლება! თუ თქვენი თავი კარგად მეყოლა და არაფერმა უბედურებამ გამოიარა-რა გვიშავს!... მოყვარეს რო უნდა, ისეა ჩვენი საქმე. თქვენი ერთი შეხედვა თქვენ მშობლებს ძალას გვმატებს, სიცოცხლეს გვიგრძელებს, გვაყმაწვილებს ..

— აბა ქალებო, გვავახშმეთ. დღეს ძლიერ დავიქანცეთ დროზედ დავწვებით ხვალ ღვთით, ადრე ასადგომი ვართ, მიმართა ქალებს სიმოას უმფროსმა ვაჟმა.

კოპწიად დამზადებულ ვახშამს გარს შემოუსხდა ბედნიერი ოჯახი. ახლად წყაროდან ამოღებული ცივ-ღვინიანი დოქი ხიირად ადებდა თავის ტუჩს ჭინჭილასა და კულას.

— აი დაილოცოს ვაზის ძირი, კმაყოფილებით წამოიძახა სიმონამ და კულა უმფროს ვაჟს გადასცა რა ჯობია ღვინოს: ზომიერად მიღებული მუშა კაცისათვის წამალია. ბიჭო გიორგი, ეს რომელი ქვევრის ღვინოა?

— ჭაშნიკია, მამაჩემო, ჭაშნიკი ამ სალამოს ორმოციანი ვნახეთ. არ მოგწონს?

— კამფეტივით არის, შვილო, კამფეტივით. ამ რკოს ღვინოს სასმლად მაინც არაფერი ჯობია ძველებურ მაღლარის ღვინოს მოგვაგონებს, ძლიერ კარგათ გიქნიათ შვილებო რომ მოგიხდიათ ორმოციანი, მე მგონია, რომ სხვა ქვევრებსაც თუ ვნახავთ არ ვიზამთ ცუდს. ღვინო რაც ხშირად მოიხდება იმდენად სასარგებლოა, მზე დახედავს, ჰაერი გაუვლის მოდი ერთს გირჩევთ, შვილებო; ზეგ კვირაა, შეგეწიათ იმისი მადლი, ისარგებლეთ თქმით ყველა ჭაშნიკები ვნახოთ. დიდი სიამოვნებით!.. ვნახოთ, მამაჩემო ვნახოთ, შესძახეს შვილებმა ბედნიერ სიმონს მამაჩემო, ძლიერ მომწონს „მგალობლიშვილის ვაზი„. ყურძენიც შესანიშნავი აქვს, ღვინოც საუკეთესო დგება. ვწუხვარ რომ ეს ვენახი აქამდის არ გაგვიკეთებია.-ძლიერ კარგი ყოფილა „მამუკას საფერე“ წარმოსთქვა ბესოს შემდეგ გიორგიმ. ჩემს ცოლის ძმას ორ ქცევამდის ექნება, არა ჩვეულებრივად ღებავს ღვინოს, ტევანიც დიდი აქვს და გამოსავალიც ჩინებული.

— ნეტავი სად დაურქმევიათ ამ ვაზებისათვის ეს სახელები, იკითხა ცნობის მოყვარეობით ბესოს ცოლმა.

— „მგალობლიშვილის ვაზი„ -დაიწყო სიმონამ, პირველად კახეთში ქონიათ. გადმოუტანია ვიღაც მგალობლიშვილის, მისგან სხვებს მოუშენებია და ამ გვაარად გავრცელებულა ჩვენში. ხალხს დაუქმევია ამ ვაზის მომტანის სახელი. „მამუკას საფერე“ კახეთიდან გადმოუტანივილაც მამუკას მოუშენებია და ხალხს დაარქმევია მომტანის სახელი. ვაზები მართლაც ორივსაუცხოვოა და, თუ შვილობით ვიქენი თქვენიანათ, ორივეს გავიჩენ. სანამ ვიცოცხლებ ვენახის კეთებას არ მოვშლი, დაილოცოს იმის ძირი. ჩემი ოჯახი ღვინომ წამოაყენა ფეხზე. შვილებო, თქვენ ჯერ კიდევ ახალგაზდები ხართ; აკეთეთ, აკეთეთ დაუზარებლად და თქვენვე მოგიხდებათ. მუშაობა ბედნიერებაა კაცისათვის. რა ჯობია შენი ოფლით მონავარ სავსე ქვევრებსო. აბა მითხარით რა ცხოვრებაა ჩვენი მეზობლის ივანეს ცხოვრება? არაფერს არ აკეთებს. ქურდობს. დაიჭერენ ქურდობისათვის, გალახვენ, გაუშვებენ, კიდევ ქურ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

...ით — შვილები უსწავლელი გვრჩებაო.
...რა იციან საბრალოებმა, რომ ასეთი ...სწავლა" მხოლოდ თვალთმაქცობაა და ...ვით სასწავლებელიც ფუყეა, ვით ...უტურო ხე, მათ შვილებს ტყვილათ აც-...ის ძალ ღონეს და გადაგვარების გზა-...ზე აყენებს.

განა დამნაშავენი არ არიან ისეთი უფ-...როსი, მასწავლებელნი და აღმზრდელნი, ...რომლებიც მხოლოდ ფორმის შესრულები-...სათვის იღებენ ჯამაგირებს, გონებით აბ-...ნელებენ მომავალ თაობას, ათასობით ...ხარჯვინებენ მშობლებს და თან იკვეხიან ...იდეც — საზოგადო მოღვაწენი ვართო!

...ოღონდაც, რომ დამნაშავენი არიან, ...მაგრამ სად არის სამართალი!..

ხმა რომ ამოიღო და დაასახელო ასე-...ი დამნაშავენი, შენვე გიკრავენ თავს ...ტუსაღოში, — შენვე გაგკიცხავენ, შენვე ...გსჯიან, შეგარცხვენენ, ვინაიდგან ვი-...ც ძალა და უფლება ხელში აქვს, ჭკვი-...ნიცა და გავლენიანიც ისა სჩანს და ის ...ამოდის.

ასეთების ასალაგმავად საჭიროა შეერ-...ებული პროტესტი შესმენილ და დაკვი-...ვებულ მშობლებისა, მაგრამ ის, რაც ...სიტყვით ადვილად ითქმის, საქმით ძნე-...ლად კეთდება და როცა ჩვენი თავი მა-...ცი გვგონია, მოწიწებით ვიხრით ხოლ ...მე თავს ყოველივე უსამართლობის წი-...აში...

ხალხის, მშობლების უმრავლესობაც — ...კალცალკე აღებული — დააბეჩავა და წე-...ლში გასტეხა თანამედროვე ცხოვრების ...უკუღმართმა პირობებმა!..

მასწავლებელი.

(შემდეგი იქნება)

# ახალი ამბავი.

**ქუთაისი.**

✦ გუშინ საღამოს მატარებლით თა-ვის სოფელში გაემგზავრა კარლო ჩხეიძე. დეპუტატმა შემოიარა იმერეთის და-ბა-სოფლები და ხალხს დარიგება მის-ცა.

✦ გუშინ ქობულეთიდან დაბრუნდა ბ — ნი კიტა აბაშიძე, რომელმაც სასია-მოვნო ამბავი ვერ ჩამოიტანა ცნობილი პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის გიორგი ზდანოვიჩის ავადმყოფობის შე-სახებ. ბ-ნი ზდანოვიჩს თავში სისხლი ავარდნია და ენა წართმევია. ექიმებს იმედი აქვთ ავათმყოფის გამოკეთებისა.

✦ ქუთაისის საბრეშუმო სადგური აუწყებს აბრეშუმის იმ პარკის პატრო-ნებს, რომელთაც პარკი ამ სადგურში გამოალვჩეს და გასაშრობად შინ წაიღეს, ისევ მოზიდონ დამზადებული პარკი, რად განაც მოსკოველი ვაჭარი უკვე ჩამოვიდა და პარკსა ყიდულობს. ფუთი გამშრალი პარკისა ფასობს თორმეტს თუმან ნახევ-რად (125 მანათად).

✦ როგორც უკვე მოხსენებული გვქონ-და, ქუთაისს ეწვიენ წარჩინებული სტუმ-რები საქართველოს ეგზარხოსი უსამღვ დელოესი პლატონი და უწმ. სინოდის ობერ-პროკურორი ბ-ნი ვოლჟინი სტუმ-რები იმავე დღესვე სადარბაზოდ იყვნენ ბ-ნ გუბერნატორთან, ქალაქის თავთან და შემდეგ ეწვიენ ყოვლად სამღვდელო გიორგის, ეპისკოპოსს იმერეთისას. საუზმე-ზე მათ სიტყვით მიმართა ქალაქის თავმა ბ-ნმა ჩიქოვანმა და აუწერა რა უკიდუ-რესი მდგომარეობა მრევლისა და სამ-ღვდელოების, გაახსენა მათ საქართველოს ეკლესიის ძველი უფლებანი და სამღვდე-ლოების ხსნა საქართველოს ეკლესიის უფლების აღდგენაში დაინახა. სტუმრებმა გულმოდგინეთ მოუსმინეს ქალაქის მოუ-რავს და შეჰპირდენ რაც კი შეგვიძლია ყველაფერს შევასრულებთო. ბაგრატის ნანგრევებისა და სასულიერო სასწავლებ-ლის დათვალიერების შემდეგ, სტუმრები გაემართნენ გელათის სანახავად, იქიდან კი მოწამეთაში ჩამოიარეს.

საქართველოს ამ ძველის ძველისა და შესანიშნავ მონასტრების ნახვამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე. გუშინ წინ სტუმრები ტფილისს დაბრუნდნენ.

✦ გუშინ წინ გარდაიცვალა და გუ-შინ დაასაფლავეს ქუთაისში კარგად ცნო-ბილი ქართველი ისრაელი შაფათა ხანა-ნაშვილი, რომელმაც ქართველ ისრაელ-თა შორის სასულიერო სწავლა-აღზრდის საქმის გასავრცელებლად შესწირა 500 მანეთი. მისმა შვილებმა კი ქართველთა შორის წერა კითხვის გამ. ქუთ. განყო-ფილებას შესწირეს ერთი თუმანი.

**ზუგდიდი.** 1 ენკენისთვიდან 1916 წელსა, სათანადო მთავრობის ნებართვით ზუგდიდში იხსნება კერძო გიმნაზია ორივე სქესის ბავშვებისათვის მთავრობის გიმნაზიების პროგრამით.

პირველ წელს გაიხსნება ორი მოსამზა-დებელი და პირველი კლასი. თუ ქალე ბი რომელიმე კლასში მიღებულ იქნა არა ნაკლებ 30-სა და ვაჟებიც იმდენივე, მაშინ ქალებისათვის გაიხსნება ცალკე პარ-ალელური კლასი.

ბავშვები გიმნაზიაში მიიღებიან ცოდ-ნის და წლოვანების მხრით იმავე პირო ბით, როგორც მთავრობის გიმნაზიებში,

ბავშვების მისაღებ თხოვნებს მეტრიკუ-ლი ამოწერილობით და ექიმისაგან მიცე-მულ ყვავილის აცრის მოწმობით დღიდან გამოქვეყნებისა ამ განცხადებისა მიიღებს სამზრუნველო საბჭოს მდივანი: მღვდელი ტროფიმე ჯოხთაბერიძე ზუგდიდის საქა-ლებო სამასწავლებლო სკოლის შენობაში.

თხოვნები უნდა დაწერილ იქნას ზუგ-დიდის კერძო გიმნაზიის პედაგოგიურ საბ-ჭოს სახელზე.

მისაღები ეგზამენები დაიწყება 22 აგვის-ტოს.

**შეცდომის გასწორება.**

სამი ივლისის ჩვენის გაზეთის ნუმერში დავბეჭდეთ ბ-ნი **უცნობის** წერილი, რო-მელშიაც, სხვათა შორის, ნათქვამი იყო, რომ შორაპნის მაზრის მომრიგებელი შუამავალი ბ-ნი გრ. ცხაკაია ხელს უშლის სამეურნეო ადწერილობის მუშაკთაო-

ახლა დანამდვილებით შევიტყვეთ, რო ბ-ნ უცნობის წერილი დამყარებული ყოფილა ისეთ „საბუთებზე", რომელთაც არავითარი დირე-ბულება არა აქვს და ბ-ნი ცხაკაია სრულიად მართალი ყოფილა,

რედაქცია სწუხს რომ ასეთი უნებლიეთი შეცდომა მოუვიდა.

# სტუდენტების ჯარში გაწვევა

**პეტროგრადი.** 22 ივლისი. გადაწყვე-ტილია ჯარში გაიწვიონ 1896 წელს და-ბადებულნი ის სტუდენტები, რომელთაც შეღავათი ჰქონდათ უმაღლეს სასწავლებ-ლის დასრულებამდის მიცემული. მათ შო-რის გაანთავისუფლებენ სპეციალურ უმაღ ლეს სასწავლებლის ორ უკანასკნელ კურსზე მყოფთ. მათ, ვინც ყველა გამოც-დები უკანასკნელ კურსზე გადასასვლე-ლად და აგრეთვე ყაზახთა წოდების პირთ, რომელნიც 1895, 96, 87 წლებში დაი-ბადნენ.

# ზოგიერთი ფაქტიური შენიშ-ნვა.

(შემდეგი. იხ. სამშობლო № 413).

IV

9) 1913 წლის ჟურნალ „Просвѣщеніе"-ს მე 12 ნომერში ლენინი ეკა-მათება როზა ლიუკსენბურგს და მედემს, რომელნიც ამტკიცებენ, ლიტველები სათვის ეროვნულ თვითმართველობის შეუძლებლობას, ვინაიდგან იმ გუ-ბერნიებში, სადაც ლიტველები სახლობენ, ისინი უმცირესობას წარმოადგენენ და გარდა ამისა საერთოდ მათი რიცხვი მხო-ლოდ ნახევარ მილიონს უდრის. ლენინი ამაზე უპასუხებს, არა თუ ნახევარი მი ლიონი, თუ გინდ იმის მეათედიც რომ იყვნენ, ეს სრულებით არ უშლის ხელს ლიტვილების ავტონომიის განხორციელე ბას.

რაც შეეხება იმას, რომ ლიტველები იმ გუბერნიებში, სადაც სახლობენ, უმ-ცირესობას შეადგენენ, ამაზე ლენინი მკაცრად შენიშნავს, რომ თანამედროვე ადმინისტრატიულ განაწილებას ბიურო-კრატიული და ბატონყმური ხასიათი აქვს, იმას „კაზიონშჩინის" და „აზიატჩინის" სუ-ლი უდის. ასეთი განაწილება უნდა მოისპოს და უნდა მოხდეს ახალი განაწი-ლება, სადაც ეროვნული პრინციპი თვალსაჩინო ადგილს დაიკავებსო.

მოვიყვან ერთ ალაგს მის წერილიდან:

„Ни одинъ марксистъ и даже ни одинъ рѣшительный демократъ не станетъ защищать австрійскихъ коронныхъ земель и русскихъ губерній и уѣздовъ (они не такъ худы, какъ австрійскія коронныя земли, но все же очень худы),* не станетъ оспаривать необходимости замѣны этихъ устарѣлыхъ дѣленіи дѣленіями по возможности по національному составу населенеія".**

ამნაირად ობიექტიური მასალები ნათ-ლად მოწმობენ, რომ ეროვნულ თვითმარ-თველობის, ანუ ავტონომიის უარყოფა რუსეთის სოციალდემოკრატების ბრალი კი არაა, **ეს ქართველ სოციალდე-მოკრატების საკუთარ შემოქმედების ნაყოფს წარმოადგენს**, თვითმართვე-ლობის უარყოფა, ეს პროგრამის უცო-დინარობას ამტკიცებს.

მე ვიცი, რომ ასეთი დებულება ჩვე-ნებურ ესფერებს ძალიან გაახარებს, მაგ-რამ ეს ჩვენთვის სრულებით არაა საინტე-რესო, და არც მაშინებს, მით უმეტეს, რომ ამნაირი კურიოზები ფედერალის-ტებსაც ხშირად ემართებთ.*)

ამაზე ქართველ სოციალდემოკრატების უმრავლესობაც აღშფოთდება, როგორთუ პროგრამის უცოდინარობას გვწამებს. შე-უძლებელი რომ ამაში არავერია ამის უტ-ყუარი საბუთებიც მოიპოვება.

ვინ არ იცის თუ რა დიდი ალაგი ეკა-ვა სოციალდემოკრატიულ ბანაკში ბ. ივა-ნე გამრთელს? მიუხედავად ამისა 1905 წელს როდესაც ის გულწრფელად ფიცუ-ლობდა გაზეთის ფურცლებზე სოციალ-დემოკრატი ვარო, პრესაში და 1906 წელს სახელმწიფო სათათბიროში ისეთი აზრები წარმოსთქვა, პროგრამის ისეთი უცოდი-ნარობა გამოიჩინა, რომელიც ბელადს და დეპუტატს კი არ უბრალო მომაკვდავსაც არ ეპატიება. გარდა ამისა, ვინ არ იცის, რომ საქართველოში მარქსიზმის ერთ მე-მებაირახტრესაც ფილიპე მახარაძე წარმო-ადგენს, ვინ არ იცის რომ ფილიპე მახა-რაძეს მხოლოდ თავისი თავი მიაჩნია საქა-რთველოში წმინდა წყლის მარქსისტად და ამიტომაც თავისუფლად ურიგებს და აცლის სხვებს მარქსისტულ დიპლომებს, ვინ არ იცის, რომ მან ობოლი მარგალი-ტი ქართულ მარქსისტულ ინტელიგენცი-ის, განსვენებული ლადო დარჩიაშვილი არ თუ ამ დიპლომის ღირსად არ ჩასთვა-ლა, პირიქით ისტორიულ მატრაკვეცებში მოაქცია? აი სწორედ ამ მახარაძეს ორგა ნომ „მოგზაურმა" ასტეხა პირველად სამა-რცხვინო კომპანია თვითმართველობის (ავტონომიის) წინააღმდეგ, და ყოველ წე-რილში, რომელიც ამ საკითხს შეეხებოდა*) რამდენი სიტყვაც იყო იმდენი სისულე-ლე იყო, მაგრამ ყოველგვარი საზღვარი "მოგზაურის" მე — 30 — ნომერში მოთავ-სებულ მოწინავე წერილში იქმნა გადალა-ხული, სადაც ავტორი შვეიცარიის ფედე-რაციას გმობდა იმ მოსაზრებით — რომ ფედერაციის გამო იქ მილიტარიზმი არ არსებობს და ეს კი ხელს უშლის პროლე-ტარიატის კლასიურ ბრძოლის გაღრმავე-ბასათვით ბრმაც დაინახავდა, რომ სოცი-ალ-დემოკრატიულ პარტიის პროგრამა მინიმუმი კატეგორიულად მოითხოვდა მილიტრიზმის, ანუ მუდმივი ჯარის მოს-პობას. პროგრამის ამაზე მეტი უცოდინა-რობა განა წარმოსადგენია?

— —

რუსეთის სოციალდემოკრატების კი არა, ჟურნალ „მოგზაურის" ბრალი იყო, რომ ქარ-თველმა სოციალ დემოკრატიამ სრულებით მო-უფიქრებლად ეროვნულ თვითმართველობის წინააღმდეგ გაილაშქრა. ამით „მოგზაურმა" სოციალდემოკრატიას ჩვენში დიდი ზიანი მიაყენა ეს ყველაზე უფრო ადრე იგრძნო ამას წინად გერმანიაში უდროვოდ გარდა-ცვალებულმა ჩვენმაამხანაგმალადო დარჩია-შვილმა და კიდევ აც სასტიკი ბრძოლა გა-მოუცხადა „მოგზაურის" ხელმძღვანელ ფილიპე მახარაძეს.

პირველად ლადო დარჩიაშვილმა იგრ-ძნო, თუ რა საბედისწერო ნაბიჯი გადა-სდგეს ეროვნულ საკითხში ქართველმა სო-ციალდემოკრატებმა და მთელის თავის დაუ-შრეტელი ენერგიით და ერუდიციით სცდი-ლობდა, რომ ეს შეცდომა დროზე გაეს-წორებიათ. მაგრამ იმის მაგივრად რომ ობიექტიურად აეწონ-დაეწონათ მისი მო-საზრებანი, მას საჯაროდ ჯამბაზსა, იუდას უწოდებდენ და ბოლოს 1910 წელს მუ-შტიც კი ჰკრეს.

ქართველი მოწინავე მუშები, რომელ-ნიც თავისს მოწინავეობის მიუხედავათ თა-ვიდან-ფეხებამდი უცოდინაობის წყვდია-დში სცურავენ, ვერც კი გრძნობენ, თუ რა ძვირფასი საუნჯე დაჰკარგეს ლადო დარჩიაშვილის გარდაცვალებით. ისინი ვერ გრძობენ. თუ რა საშინელ დანაშაუ-ლობის მონაწილენი გახდენ იმით, რომ დემაგოგიურ კომპლიმენტებით დაჭვრალნი უსიტყვოთ ემორჩილებიან სალოტბარო ჯოხს ასე წარმოიდგინეთ პოდრიაჩიკულ სკოლიდან გამოსულ სოციალდემოკრატე-ბისას. ამიტომ დღეს დარჩიაშვილი არ მა-რტო ფიზიკურად, სულიერადაც მკვდარია საზოგადოების იმ ნაწილისათვის რომელსაც ის მთელ თავისი ძალღონითგანათლებით და ანგელოსური სისპეტაკით ემსახურებოდა მაგრამ ჩვენ, მის თანამოაზრეებს, რომე ლიც დაობლებულნი, მის ძვირფას ნაშთს დავსტირით, ღრმად გვწამს, რომ ჭეშ-მარიტების სხივოსანი მზე ბოლოს და ბოლოს გაჰფანტავს წყდიადს და შევნებული მშრომელთ ლაშქრი გულწრფელი გლოვის ზარით გამოც ხადდება ლადოს სასაფლაოზედ და ჩასძა ხებს მას: „დღეს შენის სული ობლად აღარ დასტრიალობს ჩვენს ბანაკს და ამი ტომ შენ უკვე ცოცხალი ხარო *)

ვლ. ემუხვარი.

— —

P. S. ჩემს მოსაზრებას ენათა თანასწო-რობის შესახებ გაზეთ „მეგობრის" პუბ-ლიცისტებმა კრიტიკა გაუკეთეს: მათ არ მოსწონთ ჩემ მიერ მოყვანილი ანალოგია კოოპერატიულ კავშირების შესახებ და თამამად აცხადებენ: „რა ლოღიკაა კავში-რების თავისუფლებისა და კოოპერატივე-ბის თავისუფლების შორისო"?

პუბლიცისტმა კი არა მერვე კლასიან მოწაფეებმაც რომ ჰკითხონ ასეთი რამ ლოღიკის მასწავლებელს, აუცილებლად ცუდ ნიშანს მიიღებენ.

რადგანაც ითქმის „კოოპერატიული კავშირი", მაშასადამე სჩანს რომ ცნება „კოოპერატივი" და ცნება „კავშირის" შორის მჭიდრო ლოღიკური დამოკიდე-ბულება არსებობს „კავშირი" გამოხატავს კლასსიურ ცნებას მასთან შედარებით კი „კოოპერატივი" სახეული ცნებაა. იმ მოვლენათა წყება, რომელთაც ცნება „კოოპერატივი" გამოხატავს, სავსებით შედის იმ კლასში, რომლის გამომხატვე-ლი ცნება „კავშირია", ამიტომ უკანას-კნელი ცნება ეკუთვნის პირველს, რო-გორც პრედიკატი სუბიექტს. ეს კი იმას

---

*) ამიერ კავკასია ხომ ავსტრიელ საგვირგვინო მიწების უარგისი ერთეულია.

**) იხ. Просвѣшеніе № 12. Замѣтки по національному вопросу,

*) გავიხსენოთ თუგინდ გაზეთ „საქართველოს" და „სახალხო ფურცლის" შორის ამას წინად ამტყდარი კამათი უცხოელ კაპიტალის როლის შესახებ. იმ აზრის სინამდვილეში განხორციელება, რომელსაც ამ საკითხის შესახებ „სახალხო ფურ-ცელი" ქადაგებს ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის ეკონომიურად გადაგვარებას, მაშასადამე, სწორედ იმას, რის წინააღმდეგ ბრძოლა ფედერალისტებს „პროგრამაში" უწერიათ. თავის ყოვლად უკუღ-მართ პოზიციის დასასაბუთებლად „სახალხო ფურცელმა" „ეკონომისტი" თედორე ღლონტი გამოიყვანა, რომელიც რიხიანად ღაღადებს, რომ შმოლერის გამოკვლევით უცხოელი კაპიტალი გერმანიაშიაც თვალსაჩინო როლს თამაშობს, ასე რომ სრულებით საშიში არაა, პირიქით სასარ-გებლოც იქნება, თუ ჩვენი ეროვნული სიმდიდ-რე უცხოელებმა დაამუშავოსო. „ეკონომისტ" ღლონტს არ სცოდნია, რომ შმოლერს მხედველო-ბაში აქვს არა უცხოელების წ.რმოება, არამედ უცხოელებისგან ნასესხები კაპიტალი, ეგრედ წო-დებული სასესხო კაპიტალი (ссудный капиталъ) მე 80 წლებში ბისმარკმა აკრძალა რუ-სულ ქაღალდების გასაღება გერმანულ ბირჟებზე, ამით მას უნდოდა, რომ გერმანელების კაპიტალი სესხის ფორმით კი არ შესულიყო რუსეთში, არამედ იქ გაჩაღებულიყო თვით გერმანული წარმოება, ე. ი. გერმანული კაპიტალისტები რომ დაპატრონებოდენ რუსეთის შინაურ წარმოებას.

*) 1905 წელს ქუთაისის თავად-აზნაურობამ დაადგინა აღეძრა შეუდმგდომლობა საქართველოს თვით მართველობის შესახებ „მოგზაურისტებმა" იფიქრეს, რადგან თავად აზნაურობათვით მართვე-ლობას თხოულობს ალბათ ის არ ვარგებულაო და საშინელი ყვირ ლი. 3-1.

*) რაკი დიდად პატივცემულმა ავტორმა სიტ-ყვა ჩამოაგდო ლადო დარჩიაშვილზე, ჩვენ ვეცდე-ბით დავბეჭდოთ ის პასუხი, რომელიც ლადომ გასცა „მოგზაურს" ეს წერილი დიდად საყურად-ღებოა დღეს ჩვენში არსებულ ყველა ჯგუფებისა-თვის, მით უმეტეს, რომ ლადოს პასუხი დაიბე-ჭდა 1905 წლის „ივერიაში" და ბევრ ახალგაზ-რდას წაკითხული არ ექნება. რედ.

---

დობს და რა აქვს? ნახევარჯერ მშიერია. აბა მითხარით რა ცხოვრებაა ჩვენი მეზო ბლის მაქსიმეს ცხოვრება? ადამიანური გზისათვის უღალატნია ცოლშვილი მიუ-ტოვებია. ეშმაკს შეამხანაგებია, ტყეს შე-კედლებია და რა ატყვია? დღეს იქნება თუ ხვალ დაიჭერენ, ან მოკვლენ.. არა, შვილებო, კეთილ გზაზე სიარულს რა ჯობია, გნვაგრძოთ ჩვენი გზით სიარული, შვილებო. ვიშრომოთ, შრომა ამშვენებს, ალამაზებს, აჯილდოებს მშრომელსა. პა-ტიოსანი შრომა ყველაფერზედ უფრო წმინდაა, ყველაფერზედ უფრო გემრიელია.

— შენთან ვართ მამაჩემო!.. ღმერთმა გვაშოროს ივანეს და მაქსიმეს გზას. ჩვენ განვაგრძობთ იმ გზით სიარულს, რომე-ლიც შენ გვიჩვენე, რომელზედაც შენ დაგვაყენე...

— —

ივლისის შუა რიცხვები იყო. ზაფხულის კბენია მზე თანდათან ჩეროებისაკენ ერე-კებოდა გლეხებს, რომლებიც პერანგის ამარა მუხ ნაყარ სიმინდში დაძვრებოდნენ.

სიმონას ბიჭები ჯერ კიდევ, მიუხედა-ვათ იმისა, რომ შუა-დღის პაპანაქება იდ-გა, სიმღერით, დაუზარებლათ უსვამდენ თოხებს, ჯერ კიდევ ძმურად სტაცებენ ერთი მეორეს ხელში სვრელს.

სალდათობიდან ორი კვირის დაბრუ-ნებული სოფრომაც ჩმებს გვერდში ამო-დგომოდა და ერთგულად თოხს ატრია-ლებდა. სიმონა იქვე, ცაცხვის ქვეშ მხარ-თეძოზე წამოწოლილიყო და იქიდან გა-ყურებდა თავის ჯან-ღონით სავსე ბიჭებს და მათი ცქერით სტკბებოდა.

— მამა გენაცვალოსთ, შვილებო, პუ-ტუნებდა იმედით კმაყოფილი სიმონა. იმუ-შავეთ გენაცვალეთ, იმუშავეთ!.. მუშაო-ბა ღმერთმა დაგვიწესა.. გაალონიერეთ, ბიჭებო, ოჯახი გაალონიერეთ.. თქვენვე გაიხარებთ.. თქვენვე დასტკბებით... ღო ნიერი ოჯახი ყველას პასუხს მისცემს-მტერ-საც და მოყვარესაც.

კაცო, რას პუტუნებ, ვის ელაპარაკე-ბი? არ გამისულელდე!.. მიმართა ამ სი-ტყვებით ქმრას ახლად მოსულმა ანუსიამ და ვებერთელა კალათი ეჭიდან ჩამოიღო.

ცოლის მოსვლამ და სადილის მიტანამ კიდევ უფრო გაამხიარულა ბედნიერი სი-მონა და ცოლს ალერსიანად მიმართა:

— აა!. მოდი სადილი მოგვიტანე?. ყოჩაღ ანუსია.. აგრე გენაცვალე აგრე სიბერემ არ დაგძლიოს, ქალო, სიბერემ ჩემი ჯავრი ნუ გაქვს ანუსია, მე არ გა-გისულელდები. ეხლა მხოლოდ ფიქრებმა გამიტაცეს და ფიქრებს კი ძალაუნებურად პუტუნი მოყვა.

— ფიქრის დრო წავიდა, ჩემო სიმონა. რა გაქვს საფიქრალი. ღმერთს მადლობა უძლევენი, კარგი შვილები გყავს. უკნას-კნელი სურვილიც ხომ აგვისრულდა ჩვენი ყოყია ბიჟი მოგვივიდა. ვენაცვალე იმას!.. ხედავ ძმებს აამდგომია გვერდში: ვმად-ლობ უფალს რომ არ დამიკარგა მაგისი თავი. სმი წელიწადი ჩემი ყოყია სხვაგან მყავდა. დედა ენაცვალოს სოფრომას...

— მამაც ენაცვალოს ჩემ ძარღვებიან ბიჭს; თოხი ხელიდან გამომტაცა, რაღაი ასიცხდა, და მითხრა: — მამაჩემო, წადი ჩეროში, ჩვენ ვიმუშავებთ. რაღაი შვიდო: ბით დავბრუნდი აწი მე ვიციო. ოთხი ვაჟკაცი ვართ, ყველაფერს ჩვენ გავაკე-თებთ, რა გაგვიძლებსო. შენ აწი დაისვე-ნე, გეყო რაც ტანჯვა გინახავს შენ სი-ცოცხლეშიო. ვენაცვალე მაგის გამჩენს!.. აწი, ღვთით, ანუსია ჩვენი საქმე კარგათ წავა ყველა ჩვენმა შვილებმა მოიხადეს სალდათის მოვალეობა აწი ყველანი სახ-ხლში იქნებიან. სიცოცხლე ვსთხოვოთ ღმერთს, სიცოცხლე, სხვა აღარაფელი არ გვინდა.

— ენაცვალოს დედა მაგათ! ერთი მე-ორეს ჯობიან. ერთმანეთი უყვართ. რძლე-ლებიც რო კარგებია!. სწორედ ჩემი შვი-ლების შესაფერისნი გამიღლობ შენ უფა-ლო!..

ენაცვალოს დედაი სოფრომს ის მყავს ჯერ უცოლშვილო.-სიმონა, თუ კაცი ხარ, ამ წელიწადს ნუღა გადავაცილებთ, -შემოდგომაზე სოფრომას ერთი კარგი გოგო მოვგვაროთ. ენაცვალოს დედა მა-გას! რაღას უნდა უცადოთ!.. ყველა-ფერს თავისი დრო აქვს. სწორედ ეხლა სოფრომა კარგი საცოლოა ოცდა ათი შეუსრულდა ჩემ ბიჭს ამა თვის ოცს.

— უთუოდ, უთუოდ.. ჩემი სურვი-ლიც ეგ არის. ახლა კი არა, სამი წლის წინათაც შევრთავდი ქალს, რომ სალდა თობას არ შეეშალა ხელი. აქიდანვე უნ-და შეუდგეთ, ანუსია ჩემო, საქმეს. იმის-თანა ქალი უნდა მოვიყვანოთ, რომ თუ არ აჯობებს უფროს რძლებს, ნაკლები მაინც აღარ უნდა იყოს ვეცადოთ კარგი ოჯახიდან გამოვიყვანოთ ბარგი არ მინდა და მზითვი; თუ საჭირო იქნება ჩემი ჯი-ბიდან დავხარჯავ ქალის მზითვია- კარგი შეხედულობა, ბარგი კი ქალის კარგი ხა-სიათი. უხასიათო ქალთან მილიონიც მწა-რეა. კარგი ხასიათის ქალთან კი ცივი მჭადიც სასიამოვნოა. ქალმა ოჯახი არ უნდა აამღვრიოს, ძმები არ უნდა გადაკი-დოს ერთი მეორეს.

— ო რა მართალს ამბობ, სიმონა, რა მართალს!. აბა ახლა სესიკის ბიჭების ცხოვრება რა ცხოვრებაა! ყოველ დღე ჩხუბი, აყალ-მაყალი. ძმები სათოფეთ არ ერიდებიან ერთმანეთს და ყველა ეს, ხომ იცი, ბოროტი დედაკაცების-მათი ცო-ლების-ბრალია მტერსაც; აშოროს ღმერ-თმა უხასიათო ქალი!..

გორგი.

(დასასრული ხვალ).

არ ნიშნავს, რომ ასეთივე დამოკიდებულება არსებობდეს სხვადასხვა კონკრეტიულ მოვლენათა შორის, რომელნიც ერთი და იმავე კლასს ეკუთვნიან. ამიტომ თამამად შეიძლება ითქვას: მამა ჩემი—კაცია, მამა შენი კაცია. მხოლოდ არა ის რომ მამა შენი—მამა ჩემია. თუ მეგობრის პუბლიცისტებს ეს არ სჯერათ და თუ არ ერცხვებათ შეეკითხონ ამის შესახებ რომელიმე ლოღიკის მასწავლებელს.

„მეგობრელები“ კითხულობენ, შედის თუ არა ჭეშმარიტ რუსთა კავშირის თავისუფლება პლეხანოვისა და ლენინის პროგრამშიო? ამაზე მე მოვახსენებ, რომ შედის ისე როგორც ეს კავშირი შედის ფედერალისტების მიერ **ნასესხებ ჩერნოვ-რუზანოვიჩის პროგრამაშიაც.**

**ვლ. ე.**

## ვაჭრობა-მრეწველობა.

ჩვენი თანამემამულის ბ. აკაკი ხოშტარიას მიერ სპარსეთში დიდი სამრეწველო კონცესიის აღების შესახებ პეტროგრადის ფინანსისტთა ორგანო ჟურნალ „Финансовое обозрѣніе“-ში უკანასკნელ ნომერში შემდეგი ცნობაა მოთავსებული:

**ახალი ამხანაგობა.** ამას წინათ გაზეთებში ცნობა იყო მოთავსებული ა. მ. ხოშთარიას მიერ ჩრდილოეთ სპარსეთში ნავთისა და სხვა მადნების მხვილი კონცესიის აღების შესახებ სპარსეთის მთავრობისა და სეპეხდარისაგან, რომელიც მფლობელია დიდი მამულებისა კასპიის ზღვის ნაპირებზე.

ახლა; როგორც გავიგეთ, ა. მ. ხოშთარიამ თავისი კონცესია გადასცა ახლად დაარსებულ **„რუსეთ-სპარსეთის ნავთის მრეწველთა ამხანაგობას“ (რუპენტო)** შემდეგი პირობებით: ამხანაგობას ეძლევა განსაკუთრებითი უფლება ნავთის გაზის და ოზოკერიტის წარმოებისა გილანის, გაზანდერანის და ასტრაბადის პროვინციებში 70 წლის ვადით და თუნიქაბუნის, ქუჯურის და ქილერასტაგის ოლქებში 99 წლის ვადით.

ეს მიდამო, რომელიც შეიცავს კასპიის ზღვის მთელი სპარსეთის ნაპირებს და გაჭიმულია სპარსეთის ასტარიდან ჩიქიშლისადმე, დიდიხანია განთქმულია, ნავთისა და ოზოკერიტის სიმდიდრით. კონცესიას ნაწილი საზღვრავს ინგლისელთა კონცესიას, სადაც ნავთის წარმოება ფართე ნიადაგზეა დაყენებული.

ამხანაგობა „რუპენტო“ დაარსდა ხუთი მილიონის ძირითადი თანხით და მასში მონაწილეთა შორის, გარდა თვით ა. მ. ხოშთარიასი, რომელსაც აქვს ამ ამხანაგობის პაების თვალსაჩინო რიცხვი არიან ნავთის მწარმოებელნი: ნ. ი. ჯაყელი, თავ. დადიანი, ნ. პ. იოსელიანი, ლ. კ. მამულიშვილი და სხვ., აგრეთვე მუსულმან კაპიტალისტთა ჯგუფი, ბაქოს ვაჭართა ბანკის აქციონერები: ზ. ა. თაღიევი, ა. მუსა ნაგიევი, მურთუზ—მუხთაროვი და მირზა ასადულაევი. ამხანაგობაში შევიდა აგრეთვე ს. გ. ლიანოზოვი.

ამხანაგობის გამგეობა იმყოფება ბაქოში, ხოლო მმართველობა—მეშედსერში. მმართველად მოწვეულია თავ. კ. ამირაჯიბი, რომელიც ამ დღეებში მოხელეთა პერსონალითურთ გაემგზავრება მეშედსერში, სადაც მუდმივად იცხოვრებს, და შეუდგება წინასწარ ორგანიზაციულ მუშაობას.

ამ კონცესიით დაინტერესებულია ნავთის მწარმოებელთა ფართო საზოგადოება, როგორც რუსეთისა, ისე საზღვარგარეთაც.

**სრულიად-რუსეთის მუნიციპალური ბანკი.**

ქალაქთა კავშირის მთავარმა კომიტეტმა მოიწონა ნ. მ. კიშკინის პროექტი შესახებ სრულიად-რუსეთის მუნიციპალურ ბანკის დაარსებისა. პროექტის მთავარი დებულება იმაში გამოიხატება, რომ ქალაქთა კავშირი უნდა აწესრიგებდეს და ხელს უწყობდეს მთელი რუსეთის ქალაქების ცხოვრება-განვითარებას, მის საჭიროებას, მის სიცოცხლეს. საჭიროა ფართედ დაყენება სიძვირესთან ბრძოლისა, ომის შემდეგთა ლიკვიდაციისა, სასურსათო საკითხის საქმეთა და სხვ.

ქალაქთა კავშირმა აგრეთვე შემწეობა უნდა აღმოუჩინოს რუსეთის ქალაქებს ყოველგვარი საქალაქო საქმეთა მოწყობის საქმეში, მუნიციპალურ კოოპერატივებში და სხვ.

**ნავთის საქმეთა ინსპექცია.**

რუსეთში განზრახულია ნავთის საქმეთა ინსპექციის დაწესება, რომელმაც თვალ-ყური უნდა ადევნოს და გამოიკვლიოს მთელი რუსეთის ნავთის საქმეები. ინსპექციაში მოწვეულ იქნებიან გარდა სახაზინო, საზოგადო და სამეცნიერო დაწესებულებათა წარმომადგენლებისა, აგრეთვე კერძო პირებიც, რომელნიც ნავთის საქმეთა მცოდნეთ ითვლებიან.

**ვაჭრობის მობილიზაცია.**

რუსეთის საექსპორტო პალატის უახლოეს სხდომაზე განიხილავენ ამავე პალატის თავმჯდომარის ე. ს. კარატაგინის ინიციატივით შედგენილ დებულებას სამხედრო-სავაჭრო კომიტეტებისა და მათი საბჭოთა შესახებ, რომელიც ვაჭართა წრეთა მხრით დიდ ყურადღებას იპყრობს.

სამხედრო სავაჭრო კომიტეტები იქნება საზოგადოებრივი ორგანიზაციის ხასიათის და გაიხსნება ყველა ქალაქებში, ხოლო პეტროგრადში ცენტრალური კომიტეტი, რომელიც ხელმძღვანელობას და ზედამხედველობას გაუწევს ყველა კომიტეტების მოქმედება-მოღვაწეობას. ადგილობრივი სამხედრო სავაჭრო კომიტეტები დაარსდებიან საბირჟო კომიტეტებთან და სადაც ეს არ არსებობს, ქალაქის თვითმართველობებთან. ადგილობრივ კომიტეტთა შემადგენლობაში შედიან წარმომადგენელნი ბირჟის ვაჭართა, ქალაქის თვითმართველობათა, ადგილობრივერობათა, სამეურნეო საზოგადოებისა, აგრეთვე სამხედრო და სამოქალაქო უწყებათა, რომელთა რიცხვი უნდა დააწესოს სრულიად რუსეთის კომიტეტთა კრებამ; მიწათ-მოქმედების სამინისტროს წარმომადგენელი იქნება კომიტეტის მუდმივ წევრათ ცენტრალურ კომიტეტის მუდმივ წევრებათ იქნებიან: საბირჟო ვაჭრობისა და სასოფლო სამეურნეო საბჭოთა წარმომადგენელნი, წარმომადგენელნი რუსეთის საექსპორტო პალატისა, ადგილობრივ სამხედრო სავაჭრო ორგანიზაციათა, ქალაქთა და ერობათა კავშირისა პეტროგრად მოსკოვის ქალაქთა გამგეობებისა და სხვა და სხვა უწყებათა სამინისტროების დანიშვნით.

ამ კომიტეტების მოვალეობა იქნება: მოაწყოს სხვა და სხვა ადგილებში სამეურნეო, თუ საოჯახო წარმოებები, რომელნიც შეიძენენ საჭირო სურსათს და ყოველგვარ უსაჭიროეს მასალებს, რასაც გაანაწილებს მცხოვრებლებზე კომიტეტი ხელ-მისაწდომ ფასებში.

კომიტეტის საშუალებას შეადგენს: ხაზინისაგან დასახმარებელი თანხა, ნებაყოფლობით შეტანილი თანხა ცალკე დაწესებულებათაგან და სხვა.

## მცირე პასუხი.

(იხ. „ჩვენი მეგობარი“, 24 ივლის.)

„როდესაც ღმერთს ექიმის დასჯა უნდა, მას ხელში კალამს მისცემს და რეცეპტის მაგიერ პუბლიცისტურ სტატიას დააწერინებს“, ამბობს ჩემ შესახებ ხსენებული გაზეთის მეპრესე.

მაშასადამე, ავტორი უფლებას მართმევს, როგორც ექიმს, პუბლიცისტური წერილები ვსწერო!

მაგრამ მაშინ ხომ მეც ნება მექნება მოვსთხოვო ბანკის დამფასებელს, ბანკის დირექტორს, შავი ქვის საზოგადოების გამგეს, ხელოსანს, მუშას, ადვოკატს, დეპუტატსა და სხ., რომ არც მათ გაბედონ პუბლიცისტურ მოედანზე გამოსვლა! მართლაც, რით უფრო უახლოვდება საანგარიშო ჩოთქი ან სამოსამართლო საქმეების წარმოება პუბლიცისტიკას, ვიდრე მკურნალობა და რეცეპტების წერა??

და, მეორე, როდესაც მე გამოვდივარ, როგორც პუბლიცისტი, რა ზნეობრივი უფლება გაქვსთ, ჩემს მეორე პროფესიას შეეხოთ, მით უფრო მაშინ, როდესაც იცით, რომ ვასილ წერეთელი-პუბლიცისტი ვასილ წერეთელს მკურნალზე თუთხმეტი წლით უხნესია?!

რაც შეეხება იმას, ავტორს რომ დამბეზღებლად გამოვყავარ, ვსთხოვ მკითხველს გაუსინჯოს კბილი ამ ცილისწამებას. მე მხოლოდ ის აღვნიშნე, რასაც „მეგობრის“ მეთაური ამბობდა, არც მეტი, არც ნაკლები, და, თუ ავტორს თავისი შეხედულობის გამოქვეყნების ეშინოდა, რისთვის-ღა სწერდა?!

მოგეხსენებათ, შეშინებულ კაცზე უარესი არა არის-რა და ჩვენმა მეპრესემ აღარ იცის, რა ქნას, რით გაიმართლოს და მოიკატუნოს თავი. და ამბობს: „მეგობრის“ მეთაური საქონლის გაძვირების მიზეზად ყველა ვაჭარს კი არა, მხოლოდ ზოგიერთ სპეკულჲანტს აღიარებდაო. ამას, რასაკვირველია, უკანა პოზიციებზე დახევა ეწოდება.

მაგრამ განა პუბლიცისტს თრთოლა და შიში შეშვენის? პირიქით, მისი მოვალეობა არ მორიდება, მწარე სიმართლის პირში თქმაა. ამიტომ, არც დაგვიფიცავს და არც დავფიცავთ, რომ საქონლის გაძვირება მარტო სპეკულჲანტების ბრალი კი არ არის, არამედ ყველასი, ე. ი. ვაჭრის, მრეწველის, მუშის, გლეხის, დაწესებულებათა და სხ., ერთი სიტყვით, საერთო მდგომარეობისა, და სპეკულჲაციამ კი არა შვა გაძვირება, არამედ, პირიქით, გაძვირებამ გამოიწვია სპეკულჲაცია და, მაშასადამე, კერძოდ არავის ბრალი უნდა დავსდვათ.

ჩვენი წერილის დედაზრი ეს იყო. თქვენ კი, როგორც ჩვეულებრივ, სიმართლის გამოძიებაზე მოპირდაპირის დამცირება უფრო გეინტერესებათ.

ვასილ წერეთელი.

## პასუხად ბ. „მასწავლებელს“*).

პატივცემულ გაზეთ „სამშობლოს“ სამას თოხმოცდა მეთერთმეტე ნომერში მოთავსებულია თქვენი წერილი, ბატონო მასწავლებელო“, რომელზედაც მინდა გიპასუხოთ შემდეგი:

დიაღ, სოფლის მასწავლებლის უმწეო, უუფლებო მდგომარეობას ვინ არ დასტირის და გულის ფანცქალით არ უყურებს მის ოდნავ მაინც გაუმჯობესებას და ვინ იქნება ისეთი მასწავლებელი, რომელსაც ამ გვარი კითხვები არ უხუთავს სულს! და ასეთ მდგომარეობაში—ჩვენი მასაზრდოებელი, სულის ჩამდგმელი უნდა იყოს მომავლის ბრწყინვალე იმედი და ზნეობრივი უმწიკვლოება, ურთიერთ შორის სოლიდარობა, შეგნება და როდესაც ეს უკანასკნელი სიმდიდრე ხელიდან გამოგვეცლება, მაშინ... ვაი, ჩვენო დღევ!

ან როგორ არ აგიმღვრიდეს სული და გული, როგორ არ უნდა მიეცე სასოწარკვეთილებას, როდესაც ხედავ, რომ მოიპოვებიან ისეთი ამხანაგი „მასწავლებლები“, რომელთა სულის კვეთებას შეადგენს მხოლოდ პირად ინტერესებზე დამყარებული კინკლაობა და იქიდგან წარმომდგარი სიბეცე, ფაქტების არევ-დარევა და კიდევ ბევრი სხვა.

მაგალითად, ზემოხსენებულ წერილში ბ. „მასწავლებელი“ მე და ჩემდამი რწმუნებულ სასწავლებელს ეხება, იხსენიებს „სმოტრიტელებს“ და მათ შორის მეც უფრო კი თავისი აზრის „ილიუსტრაციათ“ მე მოჰყავარ და თავისი აზრები უკღმ ფაქტებზე აუშენებია და აი რისთვის:

დიდი ხანი არ არის—რაც მე კუტაისის სასწავლებელს განვაგებ სულ ათი თვეა. ამ დრომდი როგორ სწარმოებდა საქმე, იმაში, მოგეხსენებათ, მე არ შემიძლია ვიყო პასუხის მგებელი.

ბ. „მასწავლებელი“ მიკიჟინებს, თითქოს მე უნდა გამევრცელებინოს ხმები, რომ „დიდი გავლენით“ ვარ აღჭურვილი და ვისაც მინდა მას გავაძევებ. როდის იყო რომ მოგახსენეთ ან თქვენ და ან ვისმეს სხვას ასეთი უმსგავსოება?

შარშან შემოდგომაზე, როცა უფროსები მოვიდნენ სკოლის დასათვალიერებლად, შენიშნეს, რომ სწავლა აღზრდის საქმე ცუდად იყო და უფროსმა დამავალა, რომ თუ რომელიმე მასწავლებელი თავის ადგილზე არ არის მოემსახურება და ზომებს მივიღებო; იმ დღიდან მგონი, არც ერთი მასწავლებელი არ გაუმჯობესებულა და ვისარგებლე თუ არა ასეთი შემთხვევით, თქვენ თვითონ ბრძანეთ გულ-ახდილად! ან თუ გგონიათ—დაიმალებოდა რამე ჩემი მოქმედება მთავრობასთან.

როგორც არ დაიკარგა თქვენი გენიოსური ჭკუით შეთხზული „დონოსი“—ჩემზე, მირთმეული ბ. ინსპექტორისადმი, ისე არ დაიკარგებოდა არც ჩემი მიწერილი ქაღალდები. მე მხოლოდ ყველა მასწავლებლებს ვსთხოვდი მეტი უნარი გამოეჩინათ და სკოლის საქმე აგვემაღლებინა საერთო ძალით. ხოლო ასეთი ჩემი მოთხოვნა ზოგიერთებს არ მოსწონდათ, რადგან თავისი თავი დიდ გამოცდილად მაჩნიათ. აქ შემიძლია დავუმატო, რომ მარტო წლოვანების სიდიდე არ კმარა, რომ ნაყოფიერი გამოცდილებით იყოს ადამიანი აღჭურვილი.

გარდა ამისა იწერებით, სკოლის საქმეს თვითონ განაგებსო და რჩევას არავის ეკითხებაო, და როცა ამაზე ერთმა მასწავლებელმა ხმა აღიმაღლა, გაძევებას დაჰპირდაო, მაგრამ ვერ მოიშორაო. ბ. „მასწავლებელი“ თავის „დონოსში“ კი სხვა ნაირად სწერს ბ. ინსპექტორს, რომ განაჩენებზე თუ ხელს ვაწერდით, ზედამხედველი გვატანდა ძალასო. ეს თვითონ გაითვალისწინოს პატივცემულმა საზოგადოებამ ყოფილა თუ არა განაჩენები და შეიძლება თუ არა, რომ სამოცდა ათი წლის კაცს და მეტისას მიუტანო ბავშვივით ქაღალდები და აწერიო ხელი და მასთან ისეთ კაცს, რომელიც არავითარ საშუალებას არ ერიდება და მარკებს თხოვნებისათვის ჯიბით ატარებს?

როდის იყო რომ ჩემს 16 წლის ზედამხედველობაში რომელიმე მასწავლებელი გავაძევე სკოლებიდან, ერთი მაინც დამისახელეთ! თანაც დასძენს ბ. მასწავლებელი, რომ ჯერ ვერ აასრულა თავისი განზრახვებიო.

მიკვირს, თუ კი იმ „გავლენით“ ვარ შეიარაღებული, რომელ გავლენაზედაც ბ. „მასწავლებელი“ ლაპარაკობს, ნუ თუ ვერ მოვახერხე არა სასურველი მასწავლებლის მოშორება? რომელი ლოღიკა მოითმენს ასეთ არევ დარევას? ამ ნაირი მსჯელობა საკუთარი ლოღიკის სისტემა უნდა იყოს ბ. „მასწავლებლისა“.

ბინის ფულების გამოწერა სხვისი საშუალებით არა ოფიციალური პირისაგან შეუძლებელი იყო და ამხანაგურად ვსთხოვე მასწავლებლებს ჩემს დაბრუნებამდის მოეთმინათ ბინის ფულის მიღება. და ამაზედ იყო ბ. „მასწავლებელი“ არავითარ რისხვას არ ზოგავდა და თანაც მიბრძანა: „არაფერი შენი ამხანაგობა მე არ მინდაო“ აი მისი ავტორიტეტული კილო.

ბ. „მასწავლებელო“! სამწუხაროდ ჩემდა და იმ სასწავლებლისა, რომლის კეთილდღეობისათვის თქვენ ვითომ ვერ მოგისვენიათ, მისი (სასწავლებლის) არც მატერიალური მხარე და არც სწავლა-აღზრდის საქმე თქვენ არ გაინტერესებს;

სადა მარხია ძაღლის თავი მე და თქვენ ვიცით და კიდევ ჩვენის სკოლის მასწავლებლებმა. დიახ!

თქვენ, როგორც ღარიბმა მასწავლებელმა, (რა თქმა უნდა, ღარიბმა, ვინაიდგან შარშან მარტო 12 ათასი მანეთის სადირალი მამული შეიძინეთ) ითხოვეთ „პოსობიე“ სასწავლებლის საშუალებიდან და რადგან ჩვენი სასწავლებელი ისეთი მდიდარი არ არის, როგორც თქვენ წარმოგიდგენიათ და მას სხვა საქმეები აწუხებს, ვიდრე თქვენი „პოსობიის“ მიცემა, ამისათვის შეუძლებელი გახდა თქვენი სურვილების აღსრულება. თუმც უსამართლობაა თქვენ რომ „პოსობიე“ არ მოგეცესთ, რადგან ღარიბი ხართ (რა თქმა უნდა, ღარიბი, ვინაიდგან ხშირად მსმენია თქვენი ტკბილი ბაგისაგან, რომ არ დაიშურებდით 30 მანეთს თვეში კეთილ სინიდისიერ მეჯინიბისათვის). მაგრამ რა გაეწყობა!..

რამდენად, [illegible] თქვენ [illegible] სწავლ[illegible] აღზრდის საქმე ამას [illegible] ამტკიცებ[illegible] მოწაფეები თქვენდამი რწმუნებული განუ[illegible]ლებისა.

ამით მე [illegible] თავს [illegible], რადგან სიუაღოვე [illegible] თქვენი [illegible] ბისა ნებას არ მაძლევს რამე საერთო თქვენთან ვიქონიო.

ხოლო დასამტკიცებლად ჩვენი ვინაობისა, თუ პატივცემული საზოგადოება საერთოდ ან მასწავლებლების კავშირი კერძოთ, ინებებს გავაცნო მთავრობასთან თქვენი „დონოსის“ შინაარსი, ამაზედ მზად ვიქნები და მი („დონოსისას“) პირს მივაწვდი რომელიმ[ე] რედაქციას.

კუტაისის ნორმალური სასწავ. ზედამხედველი ნ. გ—ძე.

*) ამ წერილის დასტამბვა დაგვიგვიანდა. რედ.

რედაქტორი **ი. ცინცაძე.**
გამომცემელი ამხან. **„სამშობლო“**



## რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | |
|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის — | 7 ს. 25 წ. |
| „ | — საღამ. — | 8 ს. 50 |
| ბათომიდან | — დღისით — | 12 ს. 40 |
| „ | — ღამის | 2 ს. 20 |
| ფოთიდან | — დილის — | 10 ს. 26 |
| ტყიბულიდან | — საღამოს — | 6 ს. 50 |
| „ | — „ — | 9 ს. 04 |
| შორაპნიდან | — დილის — | 9 ს. 24 |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | |
|---|---|---|
| თფილისისაკენ | — დილის — | 11 ს. — |
| „ | — ღამის — | 12 ს. 15 |
| ბათომისაკენ | — საღამოს — | 7 ს. 3 |
| „ | — დილის — | 5 ს. 55 |
| ფოთისაკენ | — დღისით — | 4 ს. 8 |
| ტყიბულისკენ | — დილის — | 8 ს. 13 |
| „ | — დღით — | 3 ს, 14 |
| შორაპნისაკენ | — დღით . — | 5 ს. 20 |

**მუშაობს ხრესილის მადნეული წყლის ძმ. ჟორჟოლაძეების სამკურნალო**

# აბანო.

აბანო მდებარეობს მაღლობ, ბუნებით შემკულ მთის ჰაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვ[ა], კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას: ქარებს (რევმატიზმს), სხვადასხვაგვარ მუწუკ[ს], საყმაწვილოს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებას (მალარიას), კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისივნეს და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თბილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი ექიმი, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის. არის სუფთა საკუ[ე]თარი ვანები, სუფთა ბინა და სასმელ-საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. აბანო მდებარეობს სადგურ „სერნია ვოდში“. ხრესილში სადგურია მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილი[ს] „სტანცია სერნია ვოდის“. ქუთაისიდან მატარებელი გადის დილით და ბრუნდება საღამოობი[თ].

# ავათმყოფნი სუსუნატით

დიდი დროის დაკარგვისა და თავიანთი სენის უშედეგო წამლობის მაგიერ ამჟამათ გამოგონილია პროფეს. მორნის მიერ ახალი საშუალება, რომელიც მეცნიერულათ არის შემზადებული და ავათმყოფთ სრულებით კურნავს მოკლე დროში ამ სენისაგან. ეს საშუალებაა **ბლენიოზოლი** პროფესორ მორნისა. ბლენიოზოლი შესდგება ახალ უკანასკნელათ გამოგონებულ ქიმიურ ელემენტებისაგან და საექიმო პრაქტიკაში საზოგადოების დიდი ყურადღება მიიქცია, როგორც რადიკალურმა გამკურნებელმა საშუალებამ ქრონიკულ სუსუნატისა, ტყლიპისა, ჰაჭებისა და შარდის ბუშტის ანთებისაგან. პროფ. მორნის **ბლენიოზოლი** რადიკალურათ სპობს გონორეის ბაცილებს, რა სიღრმემდისაც უნდა იყოს სხეულში ჩამჯდარი; ბლენიოზოლი ახდენს შარდის ბუშტის დეზინფექციას და მალე სპობს სიმწვავეს, ტკივილებს, დენას და სრულებით ასუფთავებს სუსუნატის სენით მოდებულ სხეულის ნაწილებს. ყველანი განურჩევლათ სქესისა, ვინც კი შეპყრობილი არიან ამ სენით ვალდებული არიან იხმარონ **„ბლენიოზოლი“**, როგორც ერთადერთი საშუალება გონორეი—სუსუნატისაგან გასათავისუფლებლათ. ამ საშუალებით მორჩენილ სნეულება მეორეთ აღარ განახლდება. კლინიკურ საავათმყოფოებში გამოკვლევით დამტკიცებულია, რომ ბლენიოზოლი დასაწყისშივე სპობს სუსუნატისაგან წარმომდგარ შედეგებს. რადიკალური მოქმედება ბლენიოზოლისა დამოწმებულია მრავალ კლინიკასა და საავათმყოფოებში.

**ბლენიოზოლი** იყიდება ქუთაისში მხოლოდ ქუთაისის განყოფილებაში „საექიმო პრაქტიკულ ლაბორატორიისა“ **პ. შავერზაშვილის სააფთიაქო მაღაზიაში.** გიმნაზიის ქუჩა, თეატრისპირდაპირ.
ფასი ერთი კოლოფის 3 მან. სრული გათავისუფლებისათვის საჭიროა 3—5 კოლოფ.

**პოპულიარული ბროშურა იგზავნება უფასოთ.**

ბ. კოლეგოვი იტყობინება: „თქვენი პრეპარატის „ბლენიოზოლის“ ხმარების შემდეგ სრულებით გავთავისუფლდი სენისაგან, რისთვისაც გულითად მადლობას გწირავთ. ყველა ჩემს ნაცნობს ვურჩევ მიმართონ ამ საშუალებას, რადგანაც ბლენიოზოლმა მომარჩინა სრული სისადე სხვა დანარჩენი საშუალებანი, რომელიც კი ვიხმარე წამლობის დროს ცუდათ მოქმედებდენ და ვერც სნეულებისაგან გამათავისუფლეს.
თქვენი ერდგულესი **ია ნ. კოლეგოვი.**
ქ. პეტროვსკი სირ-დარის ოლქი. 9 (წლიური)